თინათინ ხიდაშელი

ანი კინწურაშვილი

ჩინეთ-საქართველოს შორის სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმების შესახებ

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ვიზიტისა და პრეზიდენტ სი ძინ პინთან შეხვედრის შემდეგ საქართველოს და ჩინეთის ორმხრივი ურთიერთობები სტრატეგიულ პარტნიორობაში გადაიზარდა. 31 ივლისს საქართველოს მთავრობის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული დოკუმენტის მიხედვით[1], მხარეები ვალდებულებას იღებენ, გააფართოვონ თანამშრომლობა და გააღრმავონ ურთიერთობები საერთაშორისო საკითხებში, ერთობლივად უზრუნველყონ რეგიონული და გლობალური მშვიდობა, სტაბილურობა და განვითარება. კონკრეტულად, დოკუმენტში საუბარია ოთხ სფეროში თანამშრომლობაზე:

- პოლიტიკური;
- ეკონომიკური;
- ხალხთაშორისი და კულტურული ურთიერთობები;
- საერთაშორისო ურთიერთობები.

დოკუმენტში გაწერილი დებულებები და პრინციპები მნიშვნელოვნად გააძლიერებს საქართველოში ჩინეთის უკვე არსებულ გავლენებს ეკონომიკაში, ისევე როგორც „ლეგიტიმურ“ საფუძველს უქმნის „რბილი ძალის“ ოპერაციებს. კიდევ უფრო საგანგაშო კი ის არის, რომ შესაძლოა, გამოიწვიოს საქართველოს სტრატეგიული დამოკიდებულება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაზე, შესაბამისი შედეგებით ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციისა და საერთაშორისო ურთიერთობებისთვის. საგულისხმოა, რომ ეს ყველაფერი ხდება ევროატლანტიკური ინტეგრაციის დაჩქარებისთვის, სასწრაფო და აუცილებელი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მკვეთრი შეფერხებისა და ანტიდასავლური რიტორიკის ყოველდღიური ზრდის ფონზე. ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ის ფაქტი, რომ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღების ფორმალური მოლოდინიც კი არ იქცა ხელისუფლებისთვის მსგავსი გადაწყვეტილების გადადების მოტივატორად. **ამასთან, ჩინეთ-საქართველოს ორმხრივი ურთიერთობების სტრატეგიული პარტნიორობის ფორმატში გადაყვანა ხდება გლობალურ პოლიტიკაში მიმდინარე დიდი სახელმწიფოების კონკურენციის კონტექსტში (Great Power Competition), ანუ იმ დროს, როდესაც სულ უფრო მცირდება მცირე სახელმწიფოების შესაძლებლობა, თანაბარი წარმატებით ითანამშრომლონ კონკურენციის რეჟიმში მყოფ დიდ ქვეყნებთან.**

ამდენად, ჩინეთის განვითარების სპეციფიკური მოდელისა და ხსენებული კონტექსტის გათვალისწინებით, ჩინეთთან თანამშრომლობის გაღრმავებით, საქართველოს ხელისუფლება რისკავს ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებასა და ევროატლანტიკურ პერსპექტივას, საკუთარი ძალაუფლების უსასრულოდ გახანგრძლივების იმედით.

[1] იხილეთ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის და საქართველოს ერთობლივი განცხადება სტრატეგიული პარტნიორობის დამყარების შესახებ: https://www.gov.ge/news/363185?page&year&fbclid=IwAR1EHSti66QFqPkWOO-oukhtaVDYoW6zldfVVLhEHjivizAwJ1pmJ9TTLKw

სიმბოლურია, რომ საქართველოს ინტერესები უგულებელყოფილია დოკუმენტის პირველივე პუნქტში, სადაც საუბარია, რომ მხარეები ადასტურებენ *ყველა ქვეყნის სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემას.* თუმცა, იქვე საუბარია, რომ საქართველო მხარს *უჭერს ერთიანი ჩინეთის პრინციპს,* მაშინ როცა **სტრატეგიული თანამშრომლობის განაცხადში არაფერია ნათქვამი ჩინეთის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერაზე.** ვიღებთ მოცემულობას, რომელშიც საქართველო, რომლის ტერიტორიების 20% ოკუპირებულია, სტრატეგიულს უწოდებს თანამშრომლობას სახელმწიფოსთან, რომელსაც შეთანხმების პრეამბულაში, სიმბოლურადაც კი არ უნდა ამ საკითხში ქვეყნის ღია მხარდაჭერა.

ფაქტი კი ის არის, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, როგორც წესი, **თავს იკავებს**[2] ან **წინააღმდეგ**[3] აძლევს ხმას გაეროში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უპირობო დაბრუნების შესახებ რეზოლუციას.

2023 წლის გაეროს გენერალური ასამბლეის კენჭის ყრის შედეგი, რომელშიც ჩინეთი თავს იკავებს რეზოლუციის მხარდაჭერისგან:



[2] იხილეთ, 2023 წლის გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უპირობო დაბრუნების შესახებ: https://civil.ge/ka/archives/547117?fbclid=IwAR3PiR7hKtfd-63JvljqZHS7CiHk9YMnVkhhwzGHqXsq01clu6S-beOO01g

[3] იხილეთ, 2022 წლის გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უპირობო დაბრუნების შესახებ: https://shorturl.
https://twitter.com/LithuaniaUNNY/status/1534631491317153793?s=20&t=APZO4tCn9KAsR708uHdH-Q&fbclid=IwAR3afdJIlEOu1xts0NjlnxgsbszXk5h3bIYTWyDcBOfpLsKg1JijUiZUY6Mat/ehprL

2022 წლის გაეროს გენერალური ასამბლეის კენჭის ყრის შედეგი, რომელშიც ჩინეთი რეზოლუციის წინააღმდეგ აძლევს ხმას:

Templates: GA (General Assembly)

General Assembly: 78th Plenary meeting

Vote Name:

Item 36 - Draft resolution A/76/L.62
Status of internally displaced persons and refugees from Abkhazia, Georgia, and the Tskhinvali region/South Ossetia, Georgia

Yes	No	Abstain
95	12	56

Vote Time: **6/8/2022 3:54:56 PM**

	AFGHANISTAN		DOMINICA	Y	LIECHTENSTEIN	Y	SAMOA
Y	ALBANIA	Y	DOMINICAN REPUBLIC	Y	LITHUANIA	Y	SAN MARINO
A	ALGERIA	Y	ECUADOR	Y	LUXEMBOURG		SAO TOME AND PRINCIPE
Y	ANDORRA	A	EGYPT	A	MADAGASCAR	A	SAUDI ARABIA
A	ANGOLA	A	EL SALVADOR	Y	MALAWI	A	SENEGAL
Y	ANTIGUA AND BARBUDA		EQUATORIAL GUINEA	A	MALAYSIA	A	SERBIA
A	ARGENTINA	A	ERITREA	Y	MALDIVES		SEYCHELLES
	ARMENIA	Y	ESTONIA		MALI	Y	SIERRA LEONE
Y	AUSTRALIA		ESWATINI	Y	MALTA	Y	SINGAPORE
Y	AUSTRIA	A	ETHIOPIA	Y	MARSHALL ISLANDS	Y	SLOVAKIA
Y	AZERBAIJAN	A	FIJI	A	MAURITANIA	Y	SLOVENIA
Y	BAHAMAS	Y	FINLAND	Y	MAURITIUS	Y	SOLOMON ISLANDS
A	BAHRAIN	Y	FRANCE	Y	MEXICO		SOMALIA
A	BANGLADESH		GABON	Y	MICRONESIA (FEDERATED STATES OF)	A	SOUTH AFRICA
Y	BARBADOS	Y	GAMBIA	Y	MONACO		SOUTH SUDAN
N	BELARUS	Y	GEORGIA	A	MONGOLIA	Y	SPAIN
Y	BELGIUM	Y	GERMANY	Y	MONTENEGRO	A	SRI LANKA
Y	BELIZE	Y	GHANA	A	MOROCCO	N	SUDAN
	BENIN	Y	GREECE	A	MOZAMBIQUE	Y	SURINAME
A	BHUTAN		GRENADA	Y	MYANMAR	Y	SWEDEN
A	BOLIVIA	Y	GUATEMALA		NAMIBIA	A	SWITZERLAND
Y	BOSNIA AND HERZEGOVINA		GUINEA		NAURU	N	SYRIAN ARAB REPUBLIC
A	BOTSWANA		GUINEA-BISSAU	A	NEPAL	A	TAJIKISTAN
A	BRAZIL	Y	GUYANA	Y	NETHERLANDS	A	THAILAND
A	BRUNEI DARUSSALAM	Y	HAITI	Y	NEW ZEALAND	Y	TIMOR-LESTE
Y	BULGARIA	Y	HONDURAS	N	NICARAGUA	A	TOGO
	BURKINA FASO	Y	HUNGARY		NIGER	Y	TONGA
N	BURUNDI	Y	ICELAND		NIGERIA	Y	TRINIDAD AND TOBAGO
	CABO VERDE	A	INDIA	Y	NORTH MACEDONIA	A	TUNISIA
A	CAMBODIA	A	INDONESIA	Y	NORWAY		TURKMENISTAN
A	CAMEROON	A	IRAN (ISLAMIC REPUBLIC OF)	A	OMAN	Y	TUVALU
Y	CANADA	A	IRAQ	A	PAKISTAN	Y	TÜRKIYE
	CENTRAL AFRICAN REPUBLIC	Y	IRELAND	Y	PALAU	A	UGANDA
	CHAD	A	ISRAEL	Y	PANAMA	Y	UKRAINE
Y	CHILE	Y	ITALY	Y	PAPUA NEW GUINEA	A	UNITED ARAB EMIRATES
N	CHINA	Y	JAMAICA	A	PARAGUAY	Y	UNITED KINGDOM
Y	COLOMBIA	Y	JAPAN	Y	PERU		UNITED REPUBLIC OF TANZANIA
	COMOROS	A	JORDAN	Y	PHILIPPINES	Y	UNITED STATES
A	CONGO	A	KAZAKHSTAN	Y	POLAND	Y	URUGUAY
Y	COSTA RICA	A	KENYA	Y	PORTUGAL	A	UZBEKISTAN
Y	COTE D'IVOIRE	Y	KIRIBATI	A	QATAR	Y	VANUATU
Y	CROATIA	A	KUWAIT	A	REPUBLIC OF KOREA		VENEZUELA
N	CUBA	A	KYRGYZSTAN	Y	REPUBLIC OF MOLDOVA	N	VIET NAM
Y	CYPRUS	N	LAO PDR	Y	ROMANIA	A	YEMEN
Y	CZECH REPUBLIC	Y	LATVIA	N	RUSSIAN FEDERATION	Y	ZAMBIA
N	DEMOCRATIC PEOPLE'S REPUBLIC OF KOREA	A	LEBANON		RWANDA	N	ZIMBABWE
	DEMOCRATIC REPUBLIC OF THE CONGO		LESOTHO	Y	SAINT KITTS AND NEVIS		
Y	DENMARK	Y	LIBERIA	Y	SAINT LUCIA		
Y	DJIBOUTI	A	LIBYA	Y	SAINT VINCENT AND THE GRENADINES		

პრობლემურია დოკუმენტის **პოლიტიკური განზომილების სფეროში** თანამშრომლობის კიდევ ერთი პუნქტი, სადაც აღნიშნულია რომ *„საქართველოს სწამს, რომ ჩინეთის მოდერნიზაცია ახალ გზას და ახალ არჩევანს სთავაზობს კაცობრიობას მოდერნიზაციის მისაღწევად. მხარეები გამოთქვამენ მზაობას **მმართველობის სფეროში არსებული გამოცდილების გაცვლის** კუთხით, საერთო განვითარებისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად“.*

განვითარების ჩინური მოდელი ავტორიტარიზმისა და ერთპარტიული პოლიტიკური სისტემის თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პრინციპებთან თანაარსებობის ნაზავია, რაც პრინციპულად შეუთავსებელია საქართველოსთვის, რომელსაც დემოკრატიული განვითარების ევროპული მოდელი აქვს არჩეული, რაც განმტკიცებულია ქვეყნის კონსტიტუციით.

შეშფოთებას იწვევს აგრეთვე **ეკონომიკურ სფეროში** თანამშრომლობის თავში ასახული პრიორიტეტებიც. კონკრეტულად, *„ჩინეთი შეისწავლის საქართველოს სოციალური და ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად **პრეფერენციული დაკრედიტების საკითხს*** და აგრეთვე, *მხარეები გამოთქვამენ მზადყოფნას, ხელი შეუწყონ ორმხრივი ინვესტიციებისა და ვაჭრობის განვითარებას; მხარეები თანხმდებიან, რომ გააღრმავებენ თანამშრომლობას ტრანსპორტის, კომუნიკაციების, ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის, შუა დერეფნის განვითარებისა და გაძლიერების, ციფრული ტექნოლოგიების, წარმოების, სარკინიგზო ქსელების განახლებისა და განვითარების, სოფლის მეურნეობისა და სურსათის უვნებლობის, წყლის რესურსების, გარემოს დაცვის, გაუდაბნოებასთან ბრძოლის, წყლის დემინერალიზაციის, სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების, დასავლეთის სამომხმარებლო ბაზრების მიმართულებით ჩინური პროდუქციის შეუფერხებელი ექსპორტისთვის საქართველოს სატრანზიტო ინფრასტრუქტურის გამოყენების, ტექნოლოგიური მიღწევებისა და ნოუ-ჰაუს გაზიარების, საკადრო რესურსების გადამზადების მიზნით.“*

„პრეფენციული“ დაკრედიტების საკითხზე მხარეები პრემიერ-მინისტრის ვიზიტამდე [4] შეთანხმდნენ, აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკის (AIIB) წარმომადგენლებსა და საქართველოს ხელისუფლებას შორის მოლაპარაკებების პროცესში, 2023 წლის 27 ივლისს. (არ აგერიოთ აზიის განვითარების ბანკში ანუ ADB-ში. ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, AIIB[5] ჩინური წარმოშობის ფინანსური ინსტრუმენტია) დაინტერესებულ მკითხველს შეეძლება გაეცნოს ჩვენი ორგანიზაციის მიერ მომზადებულ ანგარიშს[6] საქართველოს მთავრობასა და AIIB-ს შორის მანამდე არსებული თანამშრომლობის შესახებ. „მეტი ვაჭრობა და ეკონომიკური თანამშრომლობის“ კონტექსტში, მნიშვნელოვანია არ დაგვავიწყდეს, არც საქართველოს პრემიერ-მინისტრის გამოსვლა ჩინეთის ბიზნესწრეებთან შეხვედრაზე, სადაც მან ღიად მონიშნა საქართველოსთვის სტრატეგიული მნიშვნელობის ის პროექტები, სადაც ქვეყანა ჩინურ ინვესტიციებს ელოდება და მიესალმება.

კერძოდ, საუბარია თბილისში ახალი **საერთაშორისო აეროპორტის, ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტისა და ჰიდროელექტრო სადგურების** მშენებლობაზე. აღსანიშნავია, რომ ამ გამოსვლას წინ უძღოდა გადაწყვეტილება ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის ტენდერის კიდევ ერთხელ გადადების შესახებ, რაც მიანიშნებს, რომ ეს ყველაფერი ჩინური ინვესტიციისთვის ხელფეხის გახსნას ემსახურება. მოვლენათა დინამიკაზე დაკვირვება გვაფიქრებინებს, რომ ტენდერში გამარჯვებული კომპანიის გამოცხადება მოხდება

[4] იხილეთ ინფორმაცია პრემიერ ღარიბაშვილი ჩინეთში ჩასვლის შესახებ: https://www.radiotavisupleba.ge/a/32522145.html

[5] აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი (AIIB) - არის საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტი, რომელიც მიზნად ისახავს ერთობლივად გაუმჯობესოს ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა აზიაში. იგი დაარსდა 2016 წლის იანვარში და აქვს სათაო ოფისი პეკინში, ჩინეთი. ბანკს ამჟამად ჰყავს 109 წევრი, მათ შორის 13 წევრობის კანდიდატი მთელი მსოფლიოდან: https://www.aiib.org/en/index.html

[6] იხილეთ, სამოქალაქო იდეას ანგარიში, "საქართველოს საგარეო ვალის პოლიტიკა: ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ბანკი საქართველოს მთავარ კრედიტორებს შორის": https://civicidea.ge/საქართველოს-საგარეო-ვალი/ამბები/

26-27 ოქტომბერს თბილისში დაგეგმილ აბრეშუმის გზის მე-4 საერთაშორისო ფორუმზე[7], რომელსაც მთავრობის ოფიციალური ინფორმაციით ორი ათასამდე დელეგატი დაესწრება. ფორუმის კალენდარი პრაქტიკულად ემთხვევა კანდიდატის სტატუსის შესახებ ევროკომისიის ანაგრიშის გამოქვეყნების დროს, და შესაბამისად სწორედ ამ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტისა და მოვლენის საინფორმაციო გადაფარცის მცდელობას წარმოადგენს.

სტრატეგიული თანამშრომლობის დოკუმენტის შესაბამისად, საქართველო მიესალმება *ჩინეთის მიერ შემოთავაზებული „სარტყელისა და გზის" ინიციატივას. მხარეებმა ხელი მოაწერეს დოკუმენტებს, მათ შორის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და საქართველოს მთავრობებს შორის ორმხრივი თანამშრომლობის გეგმას ხსენებული ინიციატივის ფარგლებში, რათა თანამშრომლობა მეტი ძალითა და შესაძლებლობებით წარიმართოს.* აღსანიშნავია, რომ ეს ხდება იმ ვითარებაში, როდესაც ევროპის სახელმწიფოები იწყებენ გზების ძიებას ინიციატივის დატოვების შესახებ. სულ ახლახან, რაც მაგალითად, იტალიის ჯერ თავდაცვის მინისტრმა, ხოლო შემდეგ პრემიერმა დაადასტურეს საჯარო განცხადებებში[8]. აღსანიშნავია, რომ ინტერვიუ გამოქვეყნდა იტალიის პრემიერ-მინისტრის ამერიკის პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ და იმავე სტატიაში საქართველოს გადაწვეტილება ჩინეთთან პარტნიორობის გაფორმების შესახებ მოხსენიებულია, როგორც დარტყმა ევროკავშირზე.

შეთანხმების მომდევნო ნაწილი **ხალხთა შორისი და კულტურული ურთიერთობებია,** რომელშიც ასახულია ე.წ. რბილი ძალის ოპერაციების სრული სპექტრი, დაწყებული მედიასფეროში თანამშრომლობით, გაგრძელებული ჩინური კულტურის ცენტრების დაფუძნებითა და უკვე არსებული კონფუცის ინსტიტუტების შესაძლებლობების გაძლიერებით. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ხდება იმ ფონზე, როდესაც ქვეყანაში, ოფიციალურად, უკვე არსებობს ოთხი კონფუცის ინსტიტუტი და რამდენიმე ჩინური კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი (დამატებით ინფორმაციისთვის იხილეთ სამოქალაქო იდეას მიერ გამოქვეყნებული ანგარიშები[9]). ამასთან, შეთანხმება ითვალისწინებს: *უნივერსიტეტების ერთობლივი სასწავლო პროგრამების მსგავსი პრაქტიკული თანამშრომლობის განხორციელებას; წახალისდება უნივერსიტეტების მიერ მაღალი ხარისხის ციფრული საგანმანათლებლო რესურსების სრული გამოყენება და მათი გათვალისწინება თანამშრომლობის ონლაინ და ოფლაინ ფორმატებში. მხარეები ხელს შეუწყობენ სტუდენტების ურთიერთ-გაცვლას და ერთობლივ განვითარებას, სამთავრობო სასტიპენდიო ინსტრუმენტებისა და სხვა საშუალებების გამოყენებით.*

როდესაც აღნიშნულ, ერთი შეხედვით უმტკივნეულო დებულებებს ვკითხულობთ, აუცილებლად უნდა გვახსოვდეს, რომ საუბარია კომუნისტური პარტიის მიერ მართულ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაზე, სადაც აკადემიური თავისუფლება ლიმიტირებულია, ხოლო ნახსენები სასწავლო პროგრამები ოფიციალურ ცენზურას ექვემდებარება.

„სამოქალაქო იდეა" უკვე ხუთი წელია, მონიტორინგს უწევს და აანალიზებს ჩინეთის გავლენის ოპერაციებს საქართველოში, იქნება ეს აკადემიურ სფეროსა თუ მედიაში და გვაქვს მოლოდინი, რომ შეთანხმების რეალიზაცია თვისობრივად ახალ ხარისხში

[7] იხილეთ ინფორმაცია, აბრეშუმის გზის მე-4 საერთაშორისო ფორუმზე: https://www.businessinsider.ge/ka/oktombershi-tbilisis-abreshumis-gzis-forumi-gaimarteba

[8] იხილეთ ინფორმაცია, იტალიის პრემიერ მინისტრ ჯორჯია მელონის განცხადების შესახებ: https://www.politico.eu/newsletter/china-watcher/giorgia-wants-a-way-out-georgia-wants-in/

[9] იხილეთ, სამოქალაქო იდეას ანგარიშები ჩინეთის გავლენის ოპერაციების შესახებ საქართველოს აკადემიურ სივრცეში, მოცემულ ლინკებზე: https://www.politico.eu/newsletter/china-watcher/giorgia-wants-a-way-out-georgia-wants-in/

აიყვანს ჩინური „რბილი ძალის“ გავლენას, ჩვენს საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაზე.

შეთანხმების ბოლო ნაწილი ეთმობა **საერთაშორისო განზომილებაში** თანამშრომლობას. აქაც, როგორც დოკუმენტის სხვა ნაწილებში, აშკარაა ასიმეტრია მხარეებს შორის აღებულ ვალდებულებებში. კერძოდ, საქართველო ვალდებულებას იღებს, მხარი დაუჭიროს ჩინეთის ლიდერობით მიმდინარე საერთაშორისო ინიციატივებს:

- გლობალური განვითარების ინიციატივა;
- გლობალური უსაფრთხოების ინიციატივა
- გლობალური ცივილიზაციის ინიციატივა

ჩინეთისთვის სტრატეგიული მნიშვნელობისაა ამ სამ ინიციატივაში მაქსიმალურად ბევრი ქვეყნის, მათ შორის საქართველოს მონაწილეობა. **უნდა გვახსოვდეს, რომ დოკუმენტები შექმნილი და გამიზნულია ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკური წონის შემცირებისა და ჩინეთის გეოპოლიტიკური გავლენების ზრდისთვის.** განსაკუთრებით საგანგაშოა ქვეყნისთვის და საფრთხეს უქმნის საქართველოს სტრატეგიულ კავშირებს ამერიკის შეერთებულ შტატებთან, მათ შორის, უსაფრთხოების სფეროში ამერიკული დახმარების პროგრამებს.

აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ გლობალური უსაფრთხოების ფორუმზე ბრატისლავაში საქართველოს პრემიერ-მინისტრმა უკრაინაში რუსეთის შეჭრა ნატოს გაფართოებას დაუკავშირა, რაც სრულ თანხმობაში იყო ჩინეთის გლობალური უსაფრთხოების ინიციატივის მე-4 პრინციპთან, რომლის მიხედვითაც, „[საერთაშორისო ურთიერთობებში] გათვალისწინებულ უნდა იქნას სახელმწიფოთა ლეგიტიმური უსაფრთხოების წუხილები“ და იმპლიციტურად გულისხმობს, რომ ნატოს ღია კარის პოლიტიკა უგულებელყოფს და წინააღმდეგობაში მოდის რუსეთის სწორედ ამგვარ „ლეგიტიმურ“ინტერესებთან.

„სამოქალაქო იდეა,“ როგორც წამყვანი ორგანიზაცია საქართველოში, რომელიც იკვლევს ჩინეთის გავლენის ოპერაციებს, გააგრძელებს პროცესებზე დაკვირვებას. ჩვენ გვესმის, რომ საერთაშორისო პარტნიორების დივერსიფიკაცია მნიშვნელოვანი საგარეო პოლიტიკური ამოცანაა. თუმცა, იმავდროულად ვაცნობიერებთ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან თანამშრომლობის რისკებს, განსაკუთრებით სუსტი და კორუფციამოწყვლადი სახელმწიფო ინსტიტუტების ფონზე, რასაც სრულიად საგანგაშოდ ემატება პრემიერ-მინისტრ ღარიბაშვილის პერონალური სენტიმენტები და საეჭვო კავშირები ჩინეთთან. მისი და ყოფილი პრემიერ ივანიშვილის[10] კავშირები სკანდალურად ცნობილ ჩინური კომპანია CEFC-სთან[11] სწორედ ჩვენ მიერ გამოაშკარავდა, ისევე, როგორც სააშკარაოზე გამოვიტანეთ ჩინური კომპანიების დარღვევები სხვადასხვა სფეროში. „სამოქალაქო იდეა“ გააგრძელებს ანალოგიურ საქმიანობას ქვეყნის უსაფრთოხოების ინტერესების დაცვისა და მედეგობის გაზრდის მიზნით.

[10] იხილეთ, სამოქალაქო იდეას ანგარიში, „პანდორას ყუთი გაიხსნა ივანიშვილის კავშირები ჩინურ კომპანიებთან N8 ანგარიში“: https://civicidea.ge/პანდორას-ყუთი-გაიხსნა-ივ/ამბები/

[11] იხილეთ, სამოქალაქო იდეას ანგარიში, „ჩინეთის “დახურულ ბიზნეს ჩემპიონატში” ჩხარტიშვილი ლიდერობს...“: https://civicidea.ge/ჩინეთის-დახურულ-ბიზნეს-ჩ/პროექტი/